

იცნობთ თბილისს?

თუ არა,
მოგვყევით!



ZOOM LENS

14 - 42 mm


1:3,5 - 5,6

CAMERA

იცნობთ თბილისს?



თუ არა,
მოგვევით!



ეროვნული
ზოგადი

თბილისი

საქართველოს დედაქალაქი, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი და კავკასიის რეგიონის ისტორიულ-კულტურული ცენტრი.

არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ დღევანდელი თბილისის ტერიტორია დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში და მას შემდგომ აქ უწყვეტად შრომობს, იბრძვის და უნიკალურ ყოფით თუ სულიერ კულტურას ქმნის კაცთა მოდგმა.

თბილისის დაარსების ისტორია ქართველმა ხალხმა ქართლის მეფის, ვახტანგ გორგასლის სახელს დაუკავშირა; მეფისა, რომელიც „ღმერთს უყვარდა“ და მისდამი მიძღვნილი საინტერესო და ლამაზი ლეგენდით შემოგვინახა ქალაქის დაბადების ამბავი:

მეფე ვახტანგ გორგასალი, ამალასთან ერთად, სამეფოს დედაქალაქ მცხეთიდან სანადიროდ წამოსულა ახლანდელი თბილისის ტერიტორიაზე, რომლის დიდი ნაწილი უღრანი ტყით ყოფილა დაფარული და სადაც უამრავი ნადირ-ფრინველი ბუდობდა. ნადირობისას მეფის გაწვრთნილი შევარდენი ხოხობს დასდევნებია და მდევარიცა და დევნილიც თვალს მოჰფარებია. კარგა ხნის ძებნის შემდეგ, როდესაც მეფეს და მის ამალას დაბურულ, ღრმა ხევში გაუჩინარებული ფრინველები უპოვიათ, განცვიფრება ვერ დაუმალავთ – ორივე მიწიდან ამომავალ ცხელ წყალში ყოფილა დაფუფქული.

მე სწორედ ის ხობობი გახლავართ, რომელმაც ოხშივრიან წყალში
სხეული განვიბანე და, როგორც ხედავთ, ისევ აქ ვარ, არ დაგვარგულვარ!

გოგირდოვანი სამკურნალო წყლებიდან უკვდავი ამოვედი!

განა უკვდავება არ არის, როცა V საუკუნიდან დღემდე,
ვისაც თბილისი და მისი ისტორია აინტერესებს, პირველი ამბავი

მეფე ვახტანგ გორგასლითა და ჩემით იწყება?!

მაშ ასე, წამომყევით, მეგობრებო, თბილისში სასეირნოდ –
„თვალწარმტაც გარემოში ნაშობ ქალაქში, რომელსაც იმთავითვე

თან დაჰყოლია მაცოცხლებელი სითბო,

ხობობისებური სილამაზე“,

ელეგანტურობა და, რაც მთავარია,

მოყვასის უზომო სიყვარული.



ჩაქანი

ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ამ ტერიტორიაზე სახლობდნენ ტომები, რომლებიც ძირითადად მიწათმოქმედებას მისდევდნენ, ხოლო თავად ადგილი არსებითად სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობისა იყო. ის მდებარეობდა დიდი საქარავნო-სავაჭრო მაგისტრალების ორბიტაზე, აღმოსავლეთ-დასავლეთის გზაგასაყარზე.

ცხელი წყლის სამკურნალო თვისებებისა და ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო, მეფე ვახტანგ გორგასალმა აქ არსებული დასახლების გარშემო ტყის გაკაფვა და ქალაქის გაშენება ბრძანა.

სახელიც თვითონ დაუდგინა – თბილი წყაროების გამო ახალ ქალაქს სწორედ „თბილისი“ უწოდა.

458 წელს გამჭრიახმა და წინდახედულმა მეფე ვახტანგ I გორგასალმა სამეფოს დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში

მას შემდეგ გადმოიტანა, რაც დარწმუნდა, რომ სამხედრო, პოლიტიკური თუ სამეურნეო დანიშნულებით მართლაც მოსახერხებელი ადგილი იყო. გადაწყდა, რომ

სატახტო ქალაქი მცხეთა ამიერიდან საეკლესიო ცხოვრების ცენტრად იქცეოდა,


ხოლო თბილისი – სამეფოს და საერო ხელისუფლების დედაქალაქად.



ფოტოზე ვახტანგ გორგასლის – ძღვევამოსილი მეფის, მამაცი მეომრისა და მხედართმთავრის მონუმენტური ქანდაკებაა. ცალ ხელში მახვილითა და ზეადმართული ხელით გადაჰყურებს ძველ თბილისს მეტეხის პლატოდან და თითქოს აცოცხლებს იმ ეპოქას, როცა სამეფოს გონიერმა მმართველმა აქ ახალი ქალაქი დააარსა და დედაქალაქის სტატუსი მიაკუთვნა.

ვახტანგ გორგასალი – ქართლის მეფე V საუკუნის II ნახევარში. საარაკო გმირობით ებრძოდა მტერს, უშიშრად მიუძღოდა ლაშქარს და მეომრებს საბრძოლო სულისკვეთებას უღვივებდა. მისი გამოჩენისას სპარსელები შეძრწუნებულნი ატეხდნენ ღრიალს შეძახილით: „დურ აზ გორგასარ“ („ერიდეთ თავსა მგლისასა!“) – მეფის საომარი მუზარადის ერთ მხარეს მგლის თავი ყოფილა გამოსახული, მეორეზე – ლომი. ასე გაჩნდა ზედწოდება „გორგასალი“. მეფე გოლიათური აღნაგობითა და სიმაღლითაც (2,40 მ.) გამოირჩეოდა.

გამეფდა 15 წლისა, იმეფა 45 წელი, აღესრულა 60 წლისა. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა მეფე, რომლის სახელს უკავშირდება ეკლესიის ავტოკეფალიისთვის ბრძოლა, კათალიკოსობის შემოღება, მსოფლიო საქრისტიანო სამყაროში ქართული ეკლესიის როლისა და ავტორიტეტის ამაღლებისთვის ზრუნვა. მეფე ვახტანგმა საუკუნო განსასვენებელი პოვა მისგანვე აგებულ მცხეთის დიდებულ სიონში, XI საუკუნიდან – სვეტიცხოველში. საუკუნეთა განმავლობაში ქართულ სახელმწიფო დროშას „ვახტანგისა“ და „გორგასლისა“ უწოდებდნენ.





აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორ სამყაროს შორის, დიდ საქარავნო-სავაჭრო გზაზე არსებული სახელმწიფოს დედაქალაქის ისტორია უკვე თექვსმეტ საუკუნეს ითვლის, თუმცა თბილისმა მსოფლიოს უძველესი ისტორიული ქალაქების ბედი გაიზიარა – სპარსელთა, არაბთა, ხაზარ-თურქთა, მონღოლთა თუ ბიზანტიელთა შემოსევებისას ინგრეოდა, მაგრამ ფერფლიდან აღდგენას, განახლებასა და აღორძინებას ახერხებდა.

„სპარსნი, ოსმალონი, ბიზანტიელნი, რუსნი მოდიოდნენ მტრად და საბოლოოდ რჩებოდნენ მოყვრებად, რაკი ჩვენი დედაქალაქი იკრებდა ყველა ჭიშსა და მოდგმას, ყველა ენასა და სარწმუნოებას – ითავისებდა განსხვავებულ კულტურას, თავადაც მდიდრდებოდა და საქართველოსაც ამდიდრებდა საკუთარი მრავალფეროვნებით“.

იშვიათია დედამიწაზე ქალაქი, სადაც მშვიდობიანად თანაცხოვრობენ 80-მდე ეროვნებისა და სხვადასხვა რელიგიის აღმსარებლები, „თბილისის მიწის ერთ მტკაველზე – სინაგოგად, მეჩეთად, კათოლიკურ კირხედ თუ მართლმადიდებლურ ტაძრად სახედქმნილნი“. აქ დღემდეა შემორჩენილი საკულტონაგებობებიც, მაგალითად, კლდისუბანში მდებარე ზოროასტრიზმის მიმდევართა ცეცხლის ტაძარი ათეშგა.

მრავალ განსაცდელს გაუძლო თბილისმა, ბევრჯერ უკუაქციეს დამპყრობელი, მაგრამ ის, რაც 1795 წელს მოხდა, შეიძლება ქალაქის ისტორიის მთავარ ტრაგედიად მივიჩნიოთ. 1795 წლის სექტემბერში, ირანის მბრძანებელ ალა-მაჰმად-ხანთან კრწანისის ველზე განცდილი მარცხის შემდეგ, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II იძულებული გახდა, თბილისი დაეტოვებინა და არაგვის ხეობაში გახიზნულიყო. ირანელი „ღვარძლიანი საჭურისის“ ცხენოსანთა ლაშქარმა არაგინ დაინდო, არ დაინდეს ქალაქი – სასახლეები თუ ეკლესია-მონასტრები, საცხოვრებელი სახლები თუ სახელოსნოები პირწმინდად გაძარცვეს და თბილისი ცეცხლს მისცეს.

◆ კრწანისის ბრძოლაში დაღუპული 300 არაგველის მემორიალი.



მეფე ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ რუსეთის იმპერია ცდილობდა, ვითარება ისე წარმოეჩინა, რომ ჩვენი ქვეყანა დაიქცა და დამოუკიდებლად არსებობას ვეღარ შეძლებდა. ეს მცდელობა ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა – კავკასიის დაპყრობას, რაზეც რუსეთში ოდითგან ოცნებობდნენ. ხელსაყრელი დროს შეარჩიეს – 1801 წელს რუსეთის იმპერატორის გამოცემული მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმეს და რუსეთის იმპერიას მიუერთეს. ეს იყო საქართველოს ანექსიის აქტი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის შემდგომი ორი საუკუნის ბედი განსაზღვრა.

ასეთ ვითარებაში თბილისმა, ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოებათა წყალობით, მაინც შეინარჩუნა სამხრეთ კავკასიის რეგიონული ქალაქის სტატუსი და ფუნქცია. ისტორიული ტრადიციის გარდა, ეს იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ თბილისი ჯერ ამიერკავკასიის მთავარმმართველის, ხოლო შემდეგ რუსეთის მეფისნაცვლის რეზიდენციის ადგილად იქცა. ფაქტობრივად, საქართველოს დედაქალაქი კავკასიის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისის ახალი უბნები უკვე ევროპულ ყაიდაზე ეწყობოდა, ძველი დასახლებები კი ისევ აზიურ-ევროპულ კოლორიტულ იერსახეს ინარჩუნებდა.



◆ გოლოვინის (რუსთაველის) გამზირი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპულ იერს იძენს.



1918-1921 წლებში თბილისი დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქია.

1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, თბილისმა მცირე დროით ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკური ცენტრის ფუნქცია შეითავსა.

1991 წლამდე თბილისი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი იყო.

1991 წლიდან თბილისი დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქია.




◆ **1918 წლის 26 მაისი**, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება.



საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა შორის უპირველესად უნდა ვახსენოთ ილია ჭავჭავაძე (1837-1907) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პოლიტიკოსი, პოეტი, მწერალი, რომელმაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა XIX საუკუნის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე, გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩამოყალიბებასა და ლიბერალური ფასეულობების გავრცელებაში. ილია სათავეში ჩაუდგა „თერგდალეულთა“ თაობას, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში ევროპული იდეების დამკვიდრებას შეუწყვეს ხელი. ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ ილია ჭავჭავაძე შერაცხულია წმინდანად, სახელით – ილია მართალი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებს ქართველობა ეცნობოდა ჟურნალ „საქართველოს მოამბის“, მერე კი გაზეთ „ივერიის“ პუბლიკაციებით. ორივე გამოცემას ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა.



„თერგდალეულები“ – „სამოციანელები“, რუსეთში განსწავლული ქართველი მოღვაწეები, რომლებმაც მიზნად დაისახეს ხალხის გამოფხიზლება, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა; „თერგდალეულთა“ პროგრამით, თავდაპირველ ამოცანას წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიის მოპოვება, ხოლო შემდეგ – დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა.


„საქართველოს მთაბზე“ – საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი, „თერგდალეულთა“ მოძრაობის ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1863 წელს (სულ დაიბეჭდა 12 ნომერი). ემსახურებოდა ქართველ სამოციანელთა პოლიტიკურ, ლიტერატურულ-ესთეტიკურ იდეათა გავრცელებას. მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ქართული პრესისა და ჟურნალისტიკის განვითარებას.



„ივერია“ – ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა, გამოდიოდა თბილისში 1877 წლის 3 მარტიდან – ჯერ ყოველკვირეულ გაზეთად, 1879-1885 წლებში – ჟურნალის სახით, 1886 წლიდან – ყოველდღიურ გაზეთად. მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და საგანმანათლებლო იდეას ემსახურებოდა. გაზეთი აშუქებდა საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებს. „ივერიაში“ განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ქართული მწერლობის განვითარებას, მკითხველს მდიდარ ინფორმაციას აწვდიდა თანამედროვე საზღვარგარეთის ლიტერატურაზე, თავს უყრიდა და აქვეყნებდა ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. „თერგდალეულებმა“ უარი თქვეს არქაულ ლიტერატურულ სტილზე და „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილებით ყველასთვის ხელმისაწვდომი ახალი ენა შექმნეს. „ივერიის“ როლი განუზომელია ევროპეიზმის იდეის დამკვიდრებაში.

1889-1901 წწ. გაზეთ „ივერიის“ რედაქცია და სტამბა განთავსებული იყო ილიას დის, ელისაბედ ჭავჭავაძე-საგინაშვილის სახლში, რომელიც მდებარეობდა თბილისში, ნიკოლოზის ქუჩის 21 ნომერში (ახლანდელი ივანე ჯავახიშვილის ქ.№7). აქ ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე მეუღლესთან, ოღლა გურამიშვილთან ერთად. ამავე სახლს უკავშირდება ილიას საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისა და შემოქმედებითი ცხოვრების აქტიური წლები. ამ შენობაში იმართებოდა ილიას ტრადიციული „ხუთშაბათობები“, აქ იბადებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის იდეები...

ილიას ხშირად სტუმრობდნენ ევროპული ქვეყნების თვალსაჩინო წარმომადგენლები: არტურ ლაისტი, გოტფრიდ მერცბახერი, უაკ ბერტილიონი, რომაელი პროფესორი ბოსკო, ვასილი ველიჩკო, უილიამ რიჩარდ მორფილი, ოლივერ და მარტორი უორდროპები, ერნესტო როსი, ვოგან ვილიამსი, იოსებ რატილი, მიხაი ზიჩი, კარლ ჰაუპტი...



ჯონ ოლივერ უორდროპი | Sir (John) Oliver Wardrop (1864-1948) – ბრიტანელი


დიპლომატი და მთარგმნელი. გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1919-1921); საქართველოში ყოფნისას დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს. 1888 წელს ლონდონში გამოსცა თავისი ნაშრომი „საქართველოს სამეფო“ (The Kingdom of Georgia), სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ თარგმანი. დასთან, მარტორი უორდროპთან ერთად თარგმნა „წმინდა ნინოს ცხოვრება“. არჩეული იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრად. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ინგლისში დაბრუნებულმა ოლივერ უორდროპმა შეკრიბა იქ მცხოვრები ქართველები და დააარსა ქართული კომიტეტი. 1930 წელს ჩამოაყალიბა საქართველოს ისტორიული საზოგადოება, გამოსცემდა ჟურნალ „გეორგიკას“. ოლივერ უორდროპი მსოფლიო მნიშვნელობის საგანმანათლებლო ცენტრებში – ოქსფორდის უნივერსიტეტსა და ბრიტანეთის მუზეუმში ქართველოლოგიური მიმართულების დამფუძნებელია.



მარტორი უორდროპი | Marjory Wardrop (1869-1909) – ბრიტანელი სწავლული,


მთარგმნელი და ქართველოლოგი. ქართულიდან ინგლისურ ენაზე პირველმა თარგმნა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“; თარგმნა და ლონდონში გამოსცა: „ქართული ხალხური ზღაპრები“; ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“; ილიას პოემები, ლექსები და პროზაული ნაწარმოებების თარგმანი ცალკე წიგნად. არსებობს ქართველი მწერლების – გრიგოლ ორბელიანის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავისა და სხვათა პოეზიის მარტორისეული თარგმანები, რომლებიც დღემდე გამოუქვეყნებელია. ძმასთან, ოლივერ უორდროპთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა ქართველოლოგიის განვითარებაში.





უილიამ რიჩარდ მორფილი | William Richard Morfill (1834-1909) – ინგლისელი ლინგვისტი, ისტორიკოსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგი, ქართველოლოგი; ილია ჭავჭავაძის სახლში სტუმრობისას გაიცნო გამორჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მანაბელი, რაფიელ ერისთავი და სხვები. სამშობლოში დაბრუნებულმა მეცნიერმა ლიტერატურულ ჟურნალ „აკადემიაში“ 1888 წლის 21 ივლისს გამოაქვეყნა წერილი „ქართული ენა და მწერლობა“; აგრეთვე დიდი სტატია ქართული ლიტერატურის, ისტორიისა და ენის შესახებ „ინგლისური მიმოხილველისა“ და ბრიტანეთის ენციკლოპედიისთვის.


ჩხვინი



არტურ ლაისტი | Arthur Leist (1852, ბრესლაუ, პოლონეთი – 1927, თბილისი) – გერმანელი მწერალი, ენათმეცნიერი, პუბლიცისტი, მთარგმნელი. საქართველოში დაინტერესებულმა გადაწყვიტა ქართული ენის შესწავლა. 1884 წელს ილია ჭავჭავაძის მოწვევით ერთ თვეს იმყოფებოდა საქართველოში. გერმანიაში დაბრუნებულმა გამოსცა წიგნი „საქართველო, ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეობა“ (1885 წ. პოლონურ ენაზე). ლაისტი კვლავ ესტუმრა საქართველოს 1885 წელს და ი. ჭავჭავაძისა და ი. მანაბლის დახმარებით შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას (1890 წელს გამოქვეყნდა დრეზდენსა და ლაიფციგში). 1887 წელს გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია გერმანულ ენაზე. 1892 წლიდან ლაისტი საქართველოში დამკვიდრდა; მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1904 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართველი ხალხი“, რომელიც ევროპულ ენებზე ითარგმნა. 1906 წელს თბილისში დააარსა გერმანულენოვანი გაზეთი Kaukasische Post. 1918 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე, არტურ ლაისტი გერმანული ენის ლექტორად მიიწვიეს. 1923 და 1927 წლებში ორ წიგნად გამოიცა ლაისტის წერილების კრებული „საქართველოს გული“. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



შოთა რუსთაველი – XII საუკუნის ქართველი მოაზროვნე, შუა საუკუნეების ჰუმანიستي პოეტი, მსოფლიო ლიტერატურისა და ადრეული რენესანსის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბრწყინვალე პოემის – „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. მასზე ბიოგრაფიული ცნობები თითქმის არ არის შემონახული. ხალხური და ლიტერატურული გადმოცემის თუ სამეცნიერო ჰიპოთეზის მიხედვით, იგი იყო თამარ მეფის თანამედროვე, საქართველოს სამეფო კარის მეჭურჭლეთუხუცესი. შოთა რუსთაველმა ხანდაზმულობაში შეაკეთებინა იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტერი და მოახატვინა სვეტები. ამ დამსახურების აღსანიშნავად მისი სახელი მონასტრის წიგნში შეიტანეს, ხოლო მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე მისი ფრესკა გამოსახეს.




„ვეფხისტყაოსანი“ – შოთა რუსთაველის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი პოემა მსოფლიო ლიტერატურის შედევრად არის აღიარებული. ვარაუდობენ, რომ დაწერილია 1189-1207 წლებში. „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატულია ქართველი ერის უმშვენიერესი მისწრაფებები, უმაღლესი იდეალები. მასში აგრეთვე გადმოცემულია ის სულიერი განწყობილებები და იდეური მიდრეკილებები, რომლებიც ევროპული რენესანსის ძირითად დამახასიათებელ ნიშან-თვისებებად არის მიჩნეული. გენიალური ნაწარმოების ავტორი ქადაგებს პიროვნების, აზრისა და გრძნობის თავისუფლებას. პოემის ყურადღების ცენტრშია ადამიანი, ამქვეყნიური, მიწიერი, მაგრამ იმაგდროულად – ამაღლებული.

ტექსტის პირვანდელი ვარიანტი არ არის შემონახული. დღეისთვის ცნობილი უძველესი ხელნაწერი XVI საუკუნით თარიღდება. საუკუნეების განმავლობაში პოემის ტექსტი იცვლებოდა, რადგან გადამწერები ამბატებდნენ ახალ სტროფებს, ზოგჯერ – მთელ თავებსაც; დამატებული ტექსტები „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებების სახელითაა ცნობილი. ჩვენამდე მოღწეულია პოემის 160-ზე მეტი ხელნაწერი წიგნი. ზოგიერთი ხელნაწერი ნუსხა გაფორმებულია მდიდრული ორნამენტებითა და მინიატიურებით. პირველი გამოცემა დაიბეჭდა თბილისში 1712 წელს ვახტანგ მეექვსის რედაქციითა და კომენტარებით. პოემა თარგმნილია მსოფლიოს 50 ენაზე. მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაბეჭდილია 500-ზე მეტი გამოცემა, მათგან 150-ზე მეტი ქართულია.

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725) – ქართველი მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ – სულხან-საბა ორბელიანის პირველი ლიტერატურული ქმნილება, იგავ-არაკების კრებული, დაწერილი „ჟამსა სიჭაბუკისასა“. თარგმნილია ევროპულ ენებზე. ცალკეული იგავების მიხედვით გადაღებულია ფილმები და მულტფილმები. სულხან-საბა ორბელიანის კრიტიკული, სატირული მხერა ადამიანის მრავალ მანკიერებას ამხელს, თუმცა მას მაინც სწამს გონების ძალისა და მორალური ფასეულობების ერთგულებისა.





ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმიდან საუკეთესო შთაბეჭდილებებითა და უცნობი ფაქტების აღმოჩენით აღფრთოვანებულს სურვილი გიჩნდებათ, თბილისის ლამაზ ქუჩებში ფეხით გაისეირნოთ. მუზეუმიდან გამოსულნი პირდაპირ გამავალ ქუჩას თუ გაუყვებით, ზაარბრიუკენის მოედანზე აღმოჩნდებით.

ეს სახელი ამ პატარა მოედანს 1991 წელს, თბილისთან 1975 წელს დაძმობილებული გერმანული ქალაქის, ზაარბრიუკენის პატივსაცემად ეწოდა. ადრე მას ვორონცოვის მოედანი ერქვა. აქ თბილისსა და მთლიანად საქართველოში პირველი ქანდაკება 1867 წელს კავკასიის პირველ მეფისნაცვალს, მიხეილ ვორონცოვს დაუდგეს.

პეტერბურგში ჩამოსხმული 3 მეტრის სიმაღლის მონუმენტი ქვემეხებითა და ჭაჭვებით იყო შემოზღუდული. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922 წელს, მეფისნაცვლის ქანდაკება აიღეს და გადაადნეს, ხოლო მოედანს კომუნიზმის ერთ-ერთი იდეოლოგის, კარლ მარქსის სახელი უწოდეს. მოედანს მარჯვნივ თუ გაუყვებით, დავით აღმაშენებლის გამზირზე აღმოჩნდებით, ხოლო მოედნიდან პირდაპირ ზაარბრიუკენის ხიდიტ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გადახვალთ.

დავით აღმაშენებლის გამზირი დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ და ისტორიულ უბანში მდებარეობს. თავდაპირველად ეწოდებოდა მიხეილის გამზირი, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილის, დიდი მთავრისა და კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის პატივსაცემად. 1918 წელს, რუსი მარქსისტის, გიორგი პლехანოვის გარდაცვალების შემდეგ, გამზირი მისი სახელობისა გახდა. ეს სახელი შერჩა საბჭოთა პერიოდში, ხოლო 1990 წელს დავით აღმაშენებლის სახელი ეწოდა.





დავით IV აღმაშენებელი (1073-1125) – საქართველოს მეფე 1089-1125 წლებში, დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ძლევამოსილი მხედართმთავარი. დავითმა ოცდათექვსმეტწლიანი მმართველობის დროს საბოლოოდ დაასრულა ფეოდალური საქართველოს გაერთიანების ხანგრძლივი პროცესი, განდევნა სელჩუკი დამპყრობლები, საქართველო რეგიონის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია და მემკვიდრეებს გადააბარა ქვეყანა, გადაჭიმული „ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურადმდე და ოვსეთიდგან სოურად და არეგანადმდე“. მან მართლაც აღაშენა ქვეყანა და ამიტომაც უწოდა მას მადლიერმა ხალხმა „აღმაშენებელი“, ხოლო ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დავით მეფე, პიროვნული ღირსებების, ქვეყნისა და ერის წინაშე უდიდესი დამსახურებისთვის, წმინდანად შერაცხა, ხსენების დღედ 26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი) დააწესა.

◆ დავით აღმაშენებლის ფრესკა გელათის მონასტერში.



ზაარბრიუკენის ხიდის ერთგვარი გაგრძელებაა „მშრალი ხიდი“, რომლის არქიტექტორი ჯოვანი სკუდიერია. XX საუკუნის 30-იან წლებამდე ამ ხიდის ქვეშ მოედინებოდა მდინარე მტკვრის ტოტი, სადაც მეთივები ტივებსაც აჩერებდნენ. საბჭოთა ხელისუფლების დროს სანაპიროს განაშენიანების გეგმა შეცვალეს და მდინარის განშტოება დედამტკვარს შეუერთეს. ამ რეკონსტრუქციის შედეგად გაქრა ე.წ. მადათოვის კუნძულიც. 1938 წლიდან ხიდის ქვეშ ქალაქის მაგისტრალი „მიედინება“.

სწორედ ამ ორი ხიდის მიდამოებშია ძველი ნივთების ცნობილი ბაზარი.

ჯოვანი სკუდიერი | Giovanni Scudieri (1817, პადუა – 1851, თბილისი) – იტალიელი არქიტექტორი. მუშაობდა რუსეთის იმპერიაში (ოდესაში). კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვმა გადმოიყვანა თბილისში და საქალაქო ხუროთმოძღვრის მოვალეობის შესრულება დააკისრა. მისი პროექტით თბილისში აშენდა: ყოფილი ვორონცოვის ხიდი (იგივე მიხეილის ხიდი) – ახლანდელი „მშრალი ხიდი“; ძველი ქარვასლის შენობა, პირველი სათეატრო შენობა თბილისში (ახლანდელი თავისუფლების მოედანი); „სამხედრო ტაძარი“, ე.წ. „სობორო“, რომელიც მდებარეობდა მაშინდელ „გოლოვინსკზე“, ახლანდელ რუსთაველის გამზირზე, ქაშვეთის ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ააფეთქეს. ჯოვანი სკუდიერი სწორედ ამ ტაძრის მშენებლობისას დაიღუპა; სკუდიერის პროექტით თბილისში აშენდა და 1851 წლის 9 ნოემბერს გაიხსნა ოპერის თეატრი – პირველი ოპერის თეატრი საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში. იტალიური რენესანსის სტილის მონუმენტური მასშტაბის შენობა იმდროინდელ თბილისში ერთ-ერთ საუკეთესო ნაგებობას წარმოადგენდა.

◆ პირველი სათეატრო შენობის ინტერიერი. მხატვარი – გრიგოლ გაგარინი.





მშრალი ხიდის ბოლოს, ვიდრე ორბელიანთუბანში მოხვდებით, ქუჩის ორივე მხარეს ძველთბილისური კოლორიტით გამორჩეული ისტორიული შენობებია, რომელთა იერსახის შენარჩუნებაზე დედაქალაქის მერია განსაკუთრებით ზრუნავს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აგებულ სახლებში სასტუმროები იყო განთავსებული: გიორგი ათონელის 29 ნომერში – „გრანდ ოტელი“, ხოლო 31 ნომერში – „ლონდონი“. თბილისის ისტორიის მკვლევართა შეფასებით, იმდროინდელი თბილისური სასტუმროები საქართველოს ისტორიას ევროპის ისტორიასთან აკავშირებს, რადგან მათი დაარსება და გახსნა, უმეტესწილად, საქართველოში ჩამოსულ ევროპელთა სახელებს უკავშირდება. რაც მთავარია, სასტუმრო სახლების მომრავლებამ ხელი შეუწყო თბილისითა და საქართველოთი, მთლიანად კავკასიით დაინტერესებულ მოგზაურთა კიდევ უფრო გააქტიურებას. ხომ გახსოვთ, იმ დროის თბილისი რეგიონის არა მარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურის ცენტრად იყო აღიარებული.

„გრანდ ოტელის“ შენობა ბაროკოს და კლასიციტური სტილის ნაზავია. ლამაზი ხის აივნებით შემკულ მირზოვეების სახლში ფრანგმა მეწარმემ ჰექტორ დელალანდმა 1881 წელს სასტუმრო გახსნა. შენობის ძირითადი კორპუსი სამსართულიანი იყო, ხოლო მტკვრის მხარეს, დაფერდებული რელიეფის გამო – ხუთსართულიანი. „გრანდ ოტელი“ იმ პერიოდის პრესტიჟულ სასტუმროდ მიიჩნეოდა.

სასტუმრო „ლონდონის“ შენობა მოხატული სადარბაზოთი და მდიდრულად მორთული კიბით დღემდე გამორჩეულია დედაქალაქის აივნებიან სახლებს შორის. არა მარტო საერთო სივრცე, ნომრებიც ფერწერული პანოებით იყო გაფორმებული. ოთხ სიმონსონის პროექტითა და ქართველი მეცენატი მეწარმეების, ძმები ზუბალაშვილების სახსრებით XIX საუკუნის 70-იან წლებში აშენდა. ძირითადად, მოიხსენიებდნენ ფრანგული სახელწოდებით Hôtel de Londres.






იმ პერიოდის თბილისში ელექტრონით განათებული ერთ-ერთი პირველი შენობა ყოფილა. სასტუმროს საუცხოო რესტორანს ხშირად სტუმრობდა ილია ჭავჭავაძე.

1880-1890-იან წლებში აქ ჩერდებოდნენ შეძლებული უცხოელი მოგზაურები, მეტად პატივსაცემი სტუმრები რუსეთიდან, ევროპიდან და მახლობელი აღმოსავლეთიდან: კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი (1888 წ.), ბრიტანელი ენათმეცნიერი უილიამ რიჩარდ მორფილი, ინგლისელი ლორდი, პოლიტიკოსი და დიპლომატი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯორჯ კერზონი (1892 წ.), ცნობილი ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი (1899 წ.)...

კნუტ ჰამსუნი | Knut Hamsun; ნამდვილი გვარი პედერსენი (1859-1952) – ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ასახავს მისი ჩანაწერების წიგნი „ზღაპრულ ქვეყანაში“ (1903) და პიესა „დედოფალი თამარი“.

კნუტ ჰამსუნმა და მისმა მეუღლემ რატომღაც სხვისი გვარ-სახელებით იმოგზაურეს საქართველოში. სასტუმრო „ლონდონში“ სამ დღეს ცხოვრობდნენ 1899 წლის სექტემბერში. შენობის ფასადს ამ ფაქტის აღმნიშვნელი მემორიალური დაფა ამშვენებს.



კნუტ ჰამსუნი: „ტფილისს ვუახლოვდებით, გზა გამუდმებით მიუყვება დიდებულ და საუცხოო მდინარე მტკვარს. შორს ტფილისი მოჩანს – განსაკუთრებული სამყარო, თავზე ნისლი ადგას. აი, ისიც – ტფილისი, ქალაქი, რომელიც ბევრმა რუსმა პოეტმა და მწერალმა მოიხსენია ლექსებსა თუ რომანებში. უეცრად ვახალგაზრდავდები. აქეთ-იქით ვიყურები და მესმის, როგორ მიძგერს გული...“

„ქალაქი ას სამოც ათას მცხოვრებს ითვლის. აქედან კაცები ქალებზე ორჯერ მეტნი არიან. ქალაქში სამოცდაათ ენაზე ლაპარაკობენ. ტფილისი რომაელებსაც დაუპყრიათ, სპარსელებსაც და თურქებსაც. ქალაქში საუცხოო მუზეუმებიცაა, თეატრიც, ფერწერული კრებულებიც, ბოტანიკური ბაღიც, ციხესიმაგრეც... თავზე კი ძალიან, ძალიან მაღლიდან მამადავითის მონასტერი გადმოგვცქერის. ის ქართველებისთვის წმინდა ადგილად მიჩნეულ მთაზე – მთაწმინდაზე დგას...“

„ეს ქვეყანა არც ერთ სხვა ქვეყანას არა ჰგავს, რომელსაც მე ვიცნობ, და იმ გრძნობით ვარ შეპყრობილი, რომ მთელი სიცოცხლე სიამოვნებით ვიცხოვრებდი აქ...“

„ეს აღთქმული ქვეყანაა... აქ დაირწა კაცობრიობის აკვანი“.




ოტო იაკობ სიმონსონი | Otto Jakob Simonson (1829-

1914) – გერმანელი არქიტექტორი. ორმოც წელზე მეტხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში კავკასიის მეფისნაცვლის მოწვევით. ევალებოდა კავკასიის მასშტაბით საფოსტო და საინჟინრო უწყებებისა თუ ეკლესიების დაპროექტება (ყვარლის ციხესიმაგრე, თბილისის კუკიის ეკლესია და სხვ.); მისი პროექტით აშენდა აბასთუმნის ეკლესია, რომლის მშენებლობისას ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ფორმები გამოყენებული; შეადგინა ალექსანდრეს პლაცზე საზოგადოებრივი ბაღის მოწყობის ესკიზური პროექტი; იმ დროიდან ჩაეყარა საფუძველი ალექსანდრეს ბაღს (ახლანდელი გიორგი ლეონიძის და 9 აპრილის ბაღები); მისივე შედგენილია ქაშვეთის ეკლესიის ახალი გალავნის პროექტი, თბილისში მეფისნაცვლის სასახლის (დღეს თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე) რეკონსტრუქციის გეგმა. სიმონსონის არქიტექტურით აიგო კერძო საცხოვრებელი სახლებიც (ი. თამაშვეცის – გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე, ი. ზუბალაშვილის – ახლანდელ ლადო ასათიანის ქუჩაზე) და სხვ; ოტო სიმონსონმა და თბილისში მოღვაწე კიდევ ერთმა გერმანელმა არქიტექტორმა ალბერტ ზალცმანმა თბილისის განაშენიანებას ახლებური ხასიათი და ევროპული ხიბლი შესძინეს.

„გრანდ ოტელში“ ცხოვრობდა ნორვეგიელი პოეტი, მთარგმნელი, პიანისტი და მხატვარი **დაგნი იუელი (1867-1901)**, პოლონელი მწერლის, სტანისლავ პშიბიშევსკის მეუღლე, ნორვეგიელი მხატვრის, ედვარდ მუნკისა და შვედი მწერლის, ავგუსტ სტრინდბერგის მუზა.


ჰქონდათ თუ არა ერთმანეთთან რაიმე შეხების წერტილი საქართველოსთან ერთდროულად დაკავშირებულ ორ ცნობილ ნორვეგიელს – დაგნი იუელსა და კნუტ ჰამსუნს? იქნებ მათი მოგზაურობის მარშრუტის დამთხვევაც არ იყო შემთხვევითი. ჰამსუნის მსგავსად, მის გმირებსაც ესიზმრებოდათ ქვეყანა, სადაც მზე ანათებს და ქალებს ჰაეროვანი კაბები აცვიათ, ელანდებოდათ სურნელოვანი, ძვირფასი ხისგან გამოთლილი ნავი, აბრეშუმის აფრებით რომ მიაქროლებდა მათ ნანატრი ქვეყნისკენ.

მუნკი, სტრინდბერგი და პშიბიშევსკი რომ ერთი ცეცხლით იწვოდნენ და მათი გზების მიზები დაგნი იყო, ამაზე მიუთითებს თითოეულის შემოქმედებაში აღბეჭდილი მისი ხატება: მუნკის ნახატები „ცხოვრების ცეკვა“ და „მადონა“, სტრინდბერგის დრამატული პიესა „სიკვდილის როკვა“, პშიბიშევსკის „სიყვარულისა და სიკვდილის ცეკვა“.






ედვარდ მუნკი | ნორვ. Edvard Munch (1863-1944) – ნორვეგიელი ფერმწერი და გრაფიკოსი. ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი, რომლის შემოქმედების უმთავრესი მოტივებია სიკვდილი, მარტოობა და იმავდროულად – ცხოვრებით ტკბობის წყურვილიც. მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევრებია: ნახატების სერია „კივილი“, „ავადმყოფი ბავშვი“, „მადონა“, „ვამპირი“, „ფერფლი“, „კოცნა“.



იოჰან ავგუსტ სტრინდბერგი | შვედ. Johan August Strindberg (1849-1912) – შვედი მწერალი და პუბლიცისტი, თანამედროვე შვედური ლიტერატურისა და თეატრის ფუძემდებელი, მსოფლიო მოდერნისტული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. შვედურიდან მისი ნაწარმოებების ქართული თარგმანი ჯერ კიდევ 1894 წელს დაიბეჭდა ახალდაარსებულ ჟურნალ „მომამბეში“.



სტანისლავ ფელიქს პშიბიშევსკი | პოლონ. Stanisław Feliks Przybyszewski (1868-1927) – პოლონელი მწერალი და დრამატურგი, მოდერნისტული ესთეტიკის, ერთიანიზმისა და ექსპრესიონიზმის მიმდევარი, ევროპული არისტოკრატიული ბოჰემის ტრფიალი.



ამ ჩახლართული დრამატული ურთიერთობის
ფინალური სცენა თბილისში დაიდგა და
ნამდვილ ტრაგიკულ მოვლენად იქცა.


თბილისელთა მეხსიერებას დიდხანს შემორჩა 1901 წლის
23 მაისს (ძვ. სტ.) „გრანდ ოტელში“ დატრიალებული ტრაგედია:
სასტუმროს მობინადრე პოლონელმა მემამულემ,
ჭიათურის მარგანეცისა და ბაქოს ნავთობის საბადოების მფლობელის,
მდიდარი მრეწველის შვილმა ვლადისლავ ემერიკმა ცეცხლსასროლი
იარაღით ჯერ თავისი თანამგზავრი დაგნი იუელი მოკლა,
შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.
ემერიკმა ოთხი წერილი დატოვა, მაგრამ ამ მისტიკური
მკვლელობის მოტივი და გარემოება მაინც გაურკვეველი დარჩა.
ორივე თბილისში, კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს.
გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ დაგნი სასაფლაოს
პანთეონში გადაასვენეს.

ყოფილი სასტუმრო „გრანდ ოტელის“ გვერდით, ორბელიანების სასახლედ ცნობილ ისტორიულ შენობაში დღეს საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური რეზიდენციაა (გიორგი ათონელის ქუჩა №25).

აშენებულია XX საუკუნის დასაწყისში, გამოირჩევა ტიპური თბილისური, ეკლექტიკური არქიტექტურით. ამავე ტერიტორიაზე იდგა სასახლე, რომელიც XVIII საუკუნიდან მოყოლებული ქართლის არისტოკრატიული გვარის – ორბელიანების საკუთრება ყოფილა და XIX საუკუნის ბოლოს დანგრეულა. ორბელიანების სახელი დღემდე შემორჩა ამ შენობას და მის მიმდებარე მოედანსაც.



ათონელის ქუჩის მეორე მხარეს
გაშენებული ბაღი თბილისელთა და
დედაქალაქის სტუმართა დასვენება-
განტვირთვის საუკეთესო ადგილია.
შესასვლელშივე დგას ქართველი
საზოგადო მოღვაწის, პოეტი-აკადემიკოსის
გიორგი ლეონიძის ქანდაკება. ფერადი
მოზაიკით მოპირკეთებულ აუზებს თუ
გაუყვებით, ბაღის სიღრმეში,
თეთრ კვარცხლბეკზე დაინახავთ
საყელოაწეულ გრძელ პალტოში ამაყად
მდგარი მამაკაცის ბრინჯაოს ქანდაკებას
ძაღლით. ეს მიხაი ზიჩია (1827-1906),
უნგრელი მხატვარი, ფერმწერი და
გრაფიკოსი, უნგრული რომანტიზმის
წარმომადგენელი, საქართველოს
მეგობარი და შოთა რუსთაველის
უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“
პირველი ილუსტრატორი.



MIHÁLY ZICHY
(1827-1906)
HUNGARIAN ARTIST,
ILLUSTRATOR OF
THE KNIGHT IN THE
PANTHER'S SKIN
BY SHOTA RUSTAVELI



1881 წელს ზირი თბილისში ჩამოვიდა და ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის თხოვნით, დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობა. სულ შექმნა 34 სურათი (შეუკვეთეს 14). საქართველოთი მოხიბლული მხატვარი თბილისსა და ქუთაისში ჯერ ცოცხალ სურათებს დგამდა ქართველ თავადთა მონაწილეობით და მერე ხატავდა. „ვეფხისტყაოსნის“ საგამომცემლო კომისიამ 27 სურათი შეარჩია პირველი ბეჭდური ნახატებიანი გამოცემისთვის, რომელიც 1888 წელს დაისტამბა და ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ სახელით არის ცნობილი. წიგნზე ასეთი მინაწერია: „სურათების დახატვა ამ ტექსტისათვის იკისრა უსასყიდლოდ გამოჩენილმა მხატვარმა ზირიმ, რომელსაც ამ დავალებისთვის უსაზღვრო მადლობას ვუძღვნიტ... არშიები, სათაური, ასოები და საბოლოოები შეადგინა გრიგოლ

ტატიშვილმა. მხატვრობა ამ მორთულობი-
სათვის გადმოღებულია ძველის მწერლო-
ბიდან და საქართველოს ციხე ეკლესიები-
დან“. ეს ილუსტრაციები, რომლებიც სრუ-
ლად ცალკე წიგნადაც გამოიცა, ხელოვნე-
ბის მუზეუმსა და ხელნაწერთა ეროვნულ
ცენტრშია დაცული. მიხაი ზიჩიმ ქართულ
თემატიკაზე კიდევ რამდენიმე ტილო შექ-
მნა: „შოთა რუსთაველი მეფე თამარს თავის
„ვეფხისტყაოსანს“ წარუდგენს“, „ქართველი
ქალის პორტრეტი“ (1874), „იკორთის მონა-
სტერი“ (1888) და სხვ.

რუსთაველის პოემის უნგრულ ენაზე თა-
რგმნის ინიციატივაც მასვე ეკუთვნის. მად-
ლიერმა ქართველმა ხალხმა მიხაი ზიჩის
სახელის უკვდავსაყოფად, ქართველი და
უნგრელი ხალხის საუკუნოვანი მეგობრო-
ბის ნიშნად, მხატვარს ძეგლი დაუდგა (გა-
იხსნა 1988 წელს), ხოლო თბილისის ერთ-
ერთ ქუჩას მისი სახელი უწოდა.



მიხაი ზინის ქანდაკების სიახლოვეს კიბის რამდენიმე საფეხურს აივლით, ქუჩას გადაკვეთთ და ისევ ბაღში აღმოჩნდებით. XIX საუკუნის შუა ხანებში ამ დამრეც ფერდობზე საფუძველი ჩაეყარა ბაღს, რომელიც თქვენთვის უკვე კარგად ნაცნობმა არქიტექტორმა, ოტო სიმონსონმა დააპროექტა. 1865 წელს საზეიმოდ გაიხსნა თბილისის პირველი საზოგადოებრივი ბაღი, რომელსაც ალექსანდრეს სახელი უწოდეს. ქალაქის შემდგომი განაშენიანებისა და ქუჩის გაყვანის გამო ორ ნაწილად გაიყო – ზედა და ქვედა ზონებად. 2000 წელს ქვედა ნაწილს გიორგი ლეონიძის სახელი მიაკუთვნეს, ხოლო ზედა ნაწილს – 9 აპრილის ბაღი, თბილისში რუსთაველის გამზირზე დატრიალებული ტრაგედიის მსხვერპლთა უკვდავსაყოფად.

9 აპრილის ტრაგედია – 1989 წლის აპრილში რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სახლის წინ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნით მიტინგები იმართებოდა. 8-9 აპრილს, გამთენიისას, თბილისში საგანგებოდ შემოყვანილმა საბჭოთა სადესანტო შენაერთებმა სასანგრე ნიჩბებისა და მოწამლული გაზის გამოყენებით დაარბიეს მშვიდობიანი აქციის მონაწილენი. უღმობელი ანგარიშსწორებისას დაიღუპა 21 (ძირითადად ქალები), დაიჭრა და მოიწამლა ათასობით ადამიანი. 9 აპრილის მოვლენებმა წყალგამყოფის როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ორი წლის შემდეგ, ეროვნული სუვერენიტეტისთვის ბრძოლის შემდგომ ეტაპზე, საყოველთაო რეფერენდუმზე საქართველოს მოსახლეობამ ქვეყნის საბჭოთა კავშირიდან გამოყოფას და დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი. ხალხის ნება 1991 წლის 9 აპრილს აღასრულა უზენაესმა საბჭომ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი გამოსცა.



◆ 1989 წლის 9 აპრილის დილა. თბილისის მოსახლეობამ ჯერ არაფერი იცის მომხდარი ტრაგედიის შესახებ.



9 აპრილის ბაღიდან გაგდივართ რუსთაველის გამზირზე, სადაც მდებარეობს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის უძრავი ძეგლი, საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საგამოფენო სივრცე – საქართველოს ეროვნული გალერეა (რუსთაველის გამზირი, №11). ათეული წლების განმავლობაში შენობა ცისფრად იყო შეღებილი, რის გამოც ხშირად „ცისფერ გალერეად“ მოიხსენიებენ დღესაც.

საქართველოს ეროვნული გალერეა – 1888 წელს აგებულ ბაროკოს სტილის შენობაში, ე.წ. დიდების ტაძარში რუსეთის სამხედრო-ისტორიული მუზეუმი იყო განთავსებული. სამხატვრო გალერეა ცნობილი ქართველი მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი შევარდნაძის ინიციატივით დაარსდა (მისივე თაოსნობით დაფუძნდა სახელოვნებო პროფესიული ორგანიზაცია – „ქართველ ხელოვანთა საზოგადოება“). მან მთელ საქართველოში შეაგროვა მხატვრობის ნიმუშები (ზოგს ყიდულობდა, ზოგს ჩუქნიდნენ) და ეს მდიდარი კოლექცია გალერეას გადასცა. პირველი გამოფენა 1920 წლის შემოდგომაზე გაიმართა და იმთავითვე გამოიკვეთა გალერეის საგამოფენო პოლიტიკა – ქართული და უცხოური, ძველი და ახალი პერიოდების სახვითი ხელოვნების ისეთი ნიმუშების თავმოყრა და პოპულარიზაცია, რაც კი რამ ფასეული შექმნილა ან მოხვედრილა საქართველოს ტერიტორიაზე. გალერეის საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილია ნიკო ფიროსმანაშვილის (ფიროსმანი) ნამუშევრების მუდმივმოქმედი და პერიოდულად განახლებადი ექსპოზიციები.





ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი | ნიკო ფიროსმანი (1862-1918) – მსოფლი-

ოში ცნობილი ქართველი თვითნასწავლი პრიმიტივისტი მხატვარი, რომელმაც სიდუხჭირეში გალია ცხოვრება, რომლის საფლავი დაკარგულია და ვინც აღიარებას გარდაცვალებიდან ათეული წლების შემდეგ ეღიროსა. თბილისში მრავლად იყო მისი მოხატული დუქნები და სარდაფები, სადაც XX საუკუნის დასაწყისში მხატვრის ნამუშევრების ცოცხალი გამოფენა ყოფილა. ფიროსმანის პირველად მომჩინებები არიან 1912 წელს პეტერბურგიდან თბილისში არდადეგებზე ჩამოსული სტუდენტები ძმები ზდანევიჩები და მათი მეგობარი, ფრანგი მხატვარი მიშელ ლე დანტიუ, რომლებმაც

სწორედ ღვინის სარდაფში მიაგნეს მხატვარს და მის ნახატებსაც. ფიროსმანის ნამუშევრების პირველი კოლექციონერები იყვნენ ძმები ზდანევიჩები, რომელთა ინიციატივით კერძო სივრცეში მოეწყო ამ სურათების პირველი გამოფენა. გარდაცვალებიდან ორმოცი წლის შემდეგ, 1968 წლის 6-7 აპრილს, ფიროსმანის პერსონალური გამოფენა გაიმართა ლუვრის სასახლეში, და ეს იყო გენიალური ქართველი მხატვრის ტრიუმფი და მსოფლიო აღიარება. მანამდე და მას შემდეგ არც ერთ ქართველ ხელოვანს არ რგებია ასეთ პრესტიჟულ საგამოფენო სივრცეში თავისი შემოქმედების წარდგენის პატივი.

კიდევ ერთი ამბავი: ამბობენ, რომ ილია ზდანევიჩმა გააცნო პაბლო პიკასოს ფიროსმანი და მისი მემკვიდრეობა. პიკასო მაშინვე მიხვდა ნახატების უნიკალურობას, იმდენად ვნებიანად აღიქვა, რომ




შთაგონებულმა მხატვრის პორტრეტი-გრაფიურა შექმნა. ეს ნამუშევარი საქართველოს 1972 წელს გადმოეცა და ინახება იქ, სადაც დაიბადა ნიკო ფიროსმანი – დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმში.

◆ გვიმრაძეების ქეიფი





მიშელ ლე დანტუ | ფრანგ. Mikhail Le Dantu (1891-1917) – ფრანგული წარმოშობის რუსეთში მცხოვრები ავანგარდისტი მხატვარი, ადრეული რუსული ავანგარდის თეორეტიკოსი. მიშელ ლე დანტიუმ საქართველოს გარეთ პირველმა წარუდგინა ნიკო ფიროსმანი და მისი შემოქმედება ფართო საზოგადოებას 1913 წლის 23 მარტს მოსკოვში გამართულ გამოფენაზე.



კირილე მიხეილის ძე ზდანევიჩი (1892-1967) – პოლონური წარმოშობის ქართველი (დედა – ვალენტინა გამყრელიძე) ფუტურისტი მხატვარი, წიგნების ილუსტრატორი, თეატრის მხატვარ-დიზაინერი.

ილია ზდანევიჩი | ფსევდონიმი ილიაზდი (1894-1975, პარიზი, საფრანგეთი) – პოლონური წარმოშობის ქართველი ფუტურისტი მხატვარი, ლიტერატურული ავანგარდის ერთ-ერთი ლიდერი, წიგნის გამომცემელი, თეატრის მხატვარი და დიზაინერი, მკვლევარი, პოეტი, ნიკო ფიროსმანის პირველი ბიოგრაფი. მოღვაწეობდა საფრანგეთში. გარდაიცვალა პარიზში.


თბილისში არის ძმები ზდანევიჩების სახელობის ქუჩა.



პაბლო რუის ი პიკასო | ესპ. Pablo Ruiz y Picasso (1881-1973) – ესპანელი და ფრანგი მხატვარი, სკულპტორი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი, კერამიკოსი და დიზაინერი. კუბიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. განსაკუთრებული გავლენა მოახდინა XX საუკუნის სახვითი ხელოვნების განვითარებაზე.

საქართველოს ეროვნული გა-
ლერეის გაყოლებებზე, რუსთაველის
გამზირისა და გიორგი ჭანტურიას
ქუჩის კუთხეში, დამრეც რელიეფს
მისადაგებული ნაგებობაა მომრგვა-
ლებული ფასადით. ამ მრავლისმო-
მსწრე ისტორიულ შენობაში ახლა
Marriott-ის ქსელის 5-ვარსკვლავიანი
სასტუმროა – „თბილისი მარიოტი“.






სასტუმროს ისტორია 100 წელიწადზე მეტს ითვლის და 1915 წლიდან იწყება. თბილისში დამკვიდრებულმა სომეხმა ვაჭარმა და მეცენატმა მიქაელ არამიანცმა ახალგაზრდა არქიტექტორი გაბრიელ ტერ-მიქელოვი თავისივე ხარჯით ევროპაში გაგზავნა იქაური სასტუმროების არქიტექტურის გასაცნობად და შესასწავლად. ტერ-მიქელოვი დაჰპირდა დამკვეთს, ასეთ ნაგებობას და სასტუმროს მთელ რუსეთის ტერიტორიაზე ვერსად ნახავთო და პირობაც შეასრულა. მიქაელ არამიანცმა სახელიც ისეთი თვალშისაცემი მოუძებნა, როგორც შენობა იყო და „მაჟესტიკი“ დაარქვა (majestueux /ფრანგ./ – ზღაპრული, დიდებული, გრანდიოზული). პარიზში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე „მაჟესტიკს“, როგორც საუკეთესო სასტუმროს, გრან-პრი და ოქროს მედალი მიაკუთვნეს. პირველი მსოფლიო ომის დროს „მაჟესტიკში“ ჰოსპიტალი იყო განთავსებული, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ – საქართველოს პროფესიული კავშირების მუშათა სასახლე...

30-იან წლებში გადაწყვიტეს, თავდაპირველი ფუნქცია დაებრუნებინათ და შიდა რეკონსტრუქციის შემდეგ, 1939 წელს, ისევ სასტუმრო გახსნეს. ჯერ „ახალი თბილისი“ დაარქვეს, მერე – „თბილისი“. სახელის ცვლილების მიუხედავად, უცვლელი რჩებოდა სასტუმროს კლასი და მომსახურების ხარისხი. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც აქ მაღალი რანგის სტუმრებს მასპინძლობდნენ.




ხოსე დიას რამოსი | ესპ. José Díaz Ramos (1895-1942) – პოლიტიკური მოღვა-

წე, ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი 1932-1942 წლებში (კომპარტიას ხელმძღვანელობდა 1936-1939 წლების ესპანეთის სამოქალაქო ომის დროსაც). „რესპუბლიკური“ მადრიდის დაცემამდე რამდენიმე თვით ადრე გამოექცა ფრანკოს რეჟიმს და მოსკოვში კომუნისტური ინტერნაციონალის სამდივნოში მუშაობდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ევაკუაციაში იმყოფებოდა თბილისში, სადაც კომპარტიის ცეკას მაშინდელმა პირველმა მდივანმა, კანდიდ ჩარკვიანმა საპატიო სტუმარი ოჯახთან ერთად (მეუღლე და ქალიშვილი) სასტუმრო „თბილისში“ დაასახლა. ხოსე დიასმა, რომელსაც წლების განმავლობაში კუჭის სიმსივნე ტანჯავდა, დაავადების მორიგ შეტევას ვერ გაუძლო და 1942 წელს თავი მოიკლა – სასტუმროს ფანჯრიდან გადახტა. დაკრძალეს ვერის სასაფლაოზე. 1961 წელს საფლავზე მისი ქანდაკება დადგეს. 2005 წელს ხოსე დიასის ნეშტი სამშობლოში გადაასვენეს.



დოლორეს იბარური გომესი | ესპ. Dolores Ibárruri Gómez (1895-1989) – საერთა-

შორისო და ესპანეთის კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პოლიტიკური მოღვაწე ქალი, ხოსე დიასის გარდაცვალების შემდეგ, 1942-1959 წლებში ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი. საქართველოში ჩამოსულმა მოინახულა თანამემამულისა და თანამებრძოლის, ხოსე დიასის საფლავი.





1963 წლის გაზაფხულზე კუბის რევოლუციის
ლიდერი, თავისუფლების კუნძულის კომანდანტე,
37 წლის ფიდელ კასტრო საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა
35 დღის განმავლობაში, აქედან დღე-ნახევარი თბილისში გაატარა.
აქ მატარებლით ჩამოვიდა სოჭიდან, სადაც საბჭოთა კავშირის მაშინდელ
ლიდერთან, ნიკიტა ხრუშჩოვთან ერთად ისვენებდა. გზად შეჩერდნენ
საქართველოს ძირძველ რეგიონში – აფხაზეთში, სადაც სამხრეთული
გულუხვობით უმასპინძლეს. გულითადი შეხვედრა მოუწყვეს მცხეთის
რკინიგზის ბაქანზე პიონერებმაც... 1 ივნისს სტუმრებს საზეიმოდ დახვდნენ
ჩვენს დედაქალაქში, რუსთაველზე, სადაც უამრავ ხალხს მოეყარა თავი.
სამთავრობო მანქანების კორტეჟს მხურვალე შეძახილებით ეგებებოდნენ.
„დღეს რესპუბლიკის დედაქალაქში ყვავილების ტრადიციული
დღესასწაულია და მეტად სიმბოლურია, რომ იგი დაემთხვა
ფიდელ კასტროს ჩამოსვლას. თითქოს მთელი ყვავილები,
რომლებითაც ესოდენ მდიდარია ქართული მიწა,
ხალხმა ძვირფას სტუმარს მიართვა...“ – წერდა მეორე დღეს
ქვეყნის მთავარი გაზეთი „კომუნისტი“.

ფიდელ ალექსანდრო კასტრო რუსი | ესპ. Fidel Alejandro Castro Ruz (1926-2016) – კუბის რევოლუციის ლიდერი, სახელმწიფო, პოლიტიკური და პარტიული მოღვაწე, თითქმის ხუთი ათეული წლის განმავლობაში (1959-2008 წწ.) მართავდა სახელმწიფოს, როგორც პრემიერ-მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1961-2011 წწ.). ქვეყანაში დაამყარა ერთპარტიული მმართველობა, მოახდინა კერძო ქონების ნაციონალიზაცია. წინააღმდეგობრივი პოლიტიკური შეფასებების მიუხედავად, ფიდელ კასტრო კუბის და მსოფლიო ისტორიის ნაწილია.





XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იმძლავრა და საქართველო მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. თბილისში ოფიციალური ვიზიტით ჩამოდიოდნენ ამერიკისა თუ ევროპის განვითარებული ქვეყნების ლიდერები, რომლებიც ძირითადად სასტუმრო „თბილისში“ ცხოვრობდნენ.

1987 წლის 1-2 აპრილს თბილისს სტუმრობდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი, რომელსაც შეუდრეკელი და მტკიცე ხასიათის გამო „რკინის ლედი“ შეარქვეს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან, მოსკოვის გარდა, რატომ აირჩია მარგარეტ ტეტჩერმა მხოლოდ თბილისი? – ამ კითხვას საპატიო სტუმარმა ვიზიტის პირველივე დღეს სასტუმროში მის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე უპასუხა: „თბილისში ჩამოვედი ჩემი თანაშემწისა და კოლეგის, ლორდ უილიამ უაითლოუს (1918-1999 წწ.) რჩევით, რომელიც საქართველოს დიდი ბრიტანეთის დელეგაციასთან ერთად ეწვია და აღფრთოვანებული დარჩა თქვენი ქვეყნით, მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებითა და დახვედრით“.

ამ შეხვედრის მონაწილეთა გადმოცემით, ქალბატონმა ტეტჩერმა საქართველოსა და ჩვენი დედაქალაქის ისტორიის ღრმა ცოდნა გამოავლინა. იგი ასევე იცნობდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ მარჯორი უორდროპისეული ინგლისურენოვანი ბრწყინვალე თარგმანით, და-ძმა უორდროპების საქმიანობას დიდ ბრიტანეთში... სტუმარი მოიხიბლა უნიკალური ქართული სამზარეულოთი, ქართული ღვინითა და „ლალიძის წყლებით“. მხატვარმა ზურაბ წერეთელმა მარგარეტ ტეტჩერს აკვარელით შესრულებული მისი პორტრეტი უსახსოვრა.

დამშვიდობებისას „რკინის ლედიმ“ განაცხადა, რომ საქართველო მისთვის აღმოჩენაა და მოხარულია, რომ აქ ჩამოვიდა.



ზურაბ წერეთელი (დაბ. 1934 წ.) – ქართველი მხატვარ-მონუმენტალისტი, მოქანდაკე, ფერმწერი, პედაგოგი. 1997 წლიდან – რუსეთის ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი. საქართველოს და მსოფლიოს არაერთი ქვეყნის პრემიებისა და ჭილდოს მფლობელი. ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების 5000-ზე მეტი ნამუშევრის ავტორი. მისი სკულპტურები, პანოები, მოზაიკები, ვიტრაჟები და კომპოზიციები ამშვენებს მსოფლიოს უამრავ ქალაქს. თბილისში ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი მდებარეობს რუსთაველის გამზირზე (№27). მშობლიურ ქალაქს აჩუქა უნიკალური მონუმენტური კომპლექსი ყუენის მთაზე „საქართველოს მათიანე“, რომელსაც 1980 წლიდან 35 წლის მანძილზე საკუთარი სახსრებით აშენებდა. მასზე გამოსახულია საქართველოს სხვადასხვა პერიოდის ისტორიულ-რელიგიური მოვლენების ამსახველი სცენები, ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების სიუჟეტები, წმინდანთა ცხოვრების ეპიზოდები...





სასტუმრო „თბილისს“ ახსოვს 1988 წელს რობერტ რედფორდისა და მისი მეგობრის, ჯორჯ განდის სტუმრობა, რომლებიც ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა, ელდარ შენგელაიამ მოიწვია ოჯახებით.



ელდარ შენგელაიას მოგონება: „რობერტ რედფორდი ყოველ დილით დარბოდა და ვარჯიშობდა სასტუმროს მიმდებარე „ალექსანდრეს ბაღში“. ერთხელ გავუარე და წავედით რესტორან „პურის სახლში“. რომ დაინახა, როგორ აკრავდნენ თონეში ლავაშს (ქართული პური), აიჩემა, მეც მინდა ვცადო. კინალამ თონეში ჩავარდა, ფეხებში მოვკიდე ხელი და გადავარჩინე. მერე ჯვრის მონასტერში ავედით. იქიდანაც კინალამ გადავარდა. სუნელების ყიდვა უნდოდა და ბაზარში გავიარეთ. გამყიდველმა ყველანაირი სუნელი შეუხვია და მიაწოდა. რობერტმა 100-დოლარიანი გაუწოდა, მაგრამ გამყიდველმა უთხრა, კინოში გნახეთ და თქვენგან ფულს როგორ ავიღებო. რედფორდი გადაირია, ამერიკაში ასეთი რამ არ ხდებაო.

თქვენთვის სპეციალურად კონცერტი დაგეგმილი-მეთქი და მეორე დღეს „სუბიშვილების“ კონცერტზე წავიყვანე. რატომღაც ოჯახის წევრები სასტუმროში დატოვა და მართლ წამოვიდა. დაიწყო კონცერტი და პირველივე ცეკვის შემდეგ მთარგმნელს სთხოვა, სასწრაფოდ ჩემი ოჯახი მოიყვანეთო. უყურებდა ქართულ ცეკვებს და აღფრთოვანებული ემოციებს ვერ მალავდა. ხალხიც ძალიან თბილად შეხვდა. კონცერტის ბოლოს სცენაზე ავარდა და ნინო რამიშვილს ხელები დაუკოცნა. თითქმის მთელი ანსამბლი გადაკოცნა.

როცა თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია დატრიალდა, მისგან მივიღე წერილი, რომელშიც ასეთი სიტყვებიც ეწერა: „ქართველები არაჩვეულებრივი ხალხია და ასეთი სასჯელის ღირსი არ არიან!“ მსოფლიოში ამდენი ნაცნობი ხელოვანი მყავს და მაშინ მხოლოდ რედფორდმა გამომიგზავნა წერილი“.



◆ რობერტ რედფორდი და
ელდარ შენგელაია
ფილარმონიის სცენაზე
სუბიშვილების კონცერტის შემდეგ.

ელდარ შენგელაია (დაბ. 1933 წ.) – მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი კინორეჟისორი, პედაგოგი, პოლიტიკოსი. დიდი კინემატოგრაფიული ოჯახის წარმომადგენელი (მამა, ნიკოლოზ შენგელაია – რეჟისორი და სცენარისტი; პოეტური მუნჯი კინოს გამორჩეული ხელოვანი; დედა, ნატო ვანნაძე – ქართული მუნჯი და ხმოვანი კინოს ვარსკვლავი; ძმა, გიორგი შენგელაია – რეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი, პედაგოგი, ბერლინის 1986 წლის კინოფესტივალის ლაურეატი ნომინაციაში „რეჟისორი“). ელდარ შენგელაიას ფილმი „თეთრი ქარავანი“ 1964 წელს კანის კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში უჩვენეს, ხოლო 55 წლის შემდეგ – მსოფლიო კინოშედეგების სექციაში „კანის კლასიკა“. ასეთივე პატივი ერგო მის გამორჩეულ ფილმს – „ცისფერი მთები, ანუ დაუჭერებელი ამბავი“. რეჟისორმა ქართულ კინემატოგრაფში დაამკვიდრა ზღაპრულ-გროტესკული, იგავური ფორმა, რომლითაც ებრძოდა საბჭოთა რეჟიმს. სევდიანი იუმორით აღბეჭდილი მისი ფილმები („შერეკილები“, „არანგეულებრივი გამოფენა“ და სხვ.) წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ელდარ შენგელაია არის საერთაშორისო და ეროვნული ჭილდოების, საპატიო პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჭილდოთი „წმინდა გიორგის ოქროს ორდენით“ დიდი წვლილისა და მაღალი სულიერ-ზნეობრივი ფასეულობების დამკვიდრებისთვის.

ჩარლზ რობერტ რედფორდ-უმცროსი | ინგლ. Charles Robert Redford Jr. (დაბ. 1936 წ.) – ამერიკელი მსახიობი, კინორეჟისორი და პროდიუსერი. პრემია „ოსკარის“ მფლობელი საუკეთესო რეჟისურაში. მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორიაში ერთ-ერთია ექვს რეჟისორს შორის, რომლებმაც ეს ჭილდო სადებიუტო ფილმებისთვის დაიმსახურეს.

„სუხიშვილები“ – ქართული ეროვნული ბალეტი (ქორეოგრაფიული ანსამბლი). დააარსეს ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა. ანსამბლის ცეკვები არსითა და პოეტიკით ქართულ ფოლკლორს ეფუძნება, ეროვნული ქორეოგრაფიაა, თუმცა, დროის კვალდაკვალ, ქართულ ცეკვაში განხორციელებული რეფორმით ე.წ. „მოდერნ-ბალეტის“ პრინციპებსაც უახლოვდება. ანსამბლის პირველი კონცერტი 1945 წლის 11 ივნისს გაიმართა. 1948 წელს პირველად გავიდნენ საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ. მას შემდეგ საგასტროლო ტურნეით იმოგზაურეს მსოფლიოს ხუთი კონტინენტის ასამდე ქვეყანაში, გამართეს 20 ათასზე მეტი კონცერტი და ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას აზიარეს 60 მილიონზე მეტი მაყურებელი. 1967 წელს ანსამბლმა კონცერტი გამართა ლა-სკალაში და პირველი და დღემდე ერთადერთი ფოლკლორული დასია, რომელიც ამ თეატრის სცენაზე გამოვიდა. 1970 წელს „სუხიშვილებს“ მიენიჭა აკადემიური ანსამბლის სტატუსი. ამჟამად მისი ხელმძღვანელები არიან ამ სახელოვანი ოჯახის მესამე თაობის წარმომადგენლები – ნინო და ილიკო სუხიშვილები.





1987-1988 წლებში თბილისს სტუმრობდნენ
რობერტ დე ნირო და მარჩელო მასტროიანი,
რომლებიც საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის
მაშინდელმა თავმჯდომარემ, ელდარ შენგელაიამ მოიწვია.
რობერტ დე ნირო თბილისში მოსკოვიდან ჩამოვიდა,
სადაც საერთაშორისო კინოფესტივალის
ჟიურის თავმჯდომარედ იყო მიწვეული. მსახიობმა არ მოინდომა
დიდ აუდიტორიასთან გამოჩენა, თუმცა სიამოვნებით
დათანხმდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუზეუმში
თავის კოლეგებთან შეხვედრას. გულწრფელად გაუკვირდა,
რომ ამერიკაში ცოტა რამ იციან ასეთ თვითმყოფად ქართულ
კინემატოგრაფზე და ნახევრად ხუმრობით პირობაც დადო,
ამ შეცდომას გამოვასწორებო.



რობერტ დე ნირო უმცროსი
| ინგლ. **Robert De Niro Jr.** (დაბ.
1943 წ.) – ამერიკელი კინოსა-
ხიობი, რეჟისორი და პროდი-
უსერი. აღიარებულია თავისი
თაობის საუკეთესო მსახიო-
ბად. განსაკუთრებით ცნობი-
ლია კრიმინალურ ფილმებში
მონაწილეობით, კონფლიქტუ-
რი ხასიათების როლებითა და
მრავალწლიანი თანამშრომ-
ლობით კინორეჟისორ მარტინ
სკორსეზესთან. ორჯერ გადა-
ეცა ამერიკის კინოაკადემიის
ჯილდო „ოსკარი“ (1974 წ. – „ნათ-
ლია 2“; 1980 – „ცოფიანი ხარი“.
ამავე ფილმისთვის 1981 წელს
„ოქროს გლობუსის“ ლაურე-
ატიც გახდა). დე ნირო ერთა-
დერთი ამერიკელი მსახიობია,
რომელმაც „ოსკარი“ მიიღო
ამერიკულ ფილმში, სადაც მხო-
ლოდ იტალიურად საუბრობს.



ელდარ შენგელაიას კიდევ ერთი მოგონება:

„რობერტ დე ნირო თავისებური კაცი იყო, დისტანცია უყვარდა. თბილისში, მიხეილ თუმანიშვილის თეატრში ჩაატარა მასტერკლასი. გვინდოდა, სვანეთში წაგვეყვანა, მაგრამ ქუთაისში რომ ჩავფრინდით, გვითხრეს, ასეთ ღრუბლიან ამინდში სვანეთისკენ ვერ გაფრინდებითო. ამიტომ დავრჩით იქ, ვაჩვენეთ გელათი, ბაგრატიის ტაძარი, ვუმასპინძლეთ ქართული სტუმართმოყვარეობით. თბილისიდან მადლიერი და კმაყოფილი გავისტუმრეთ“.



1988 წლის მარტში მარჩელო მასტროიანს ქართველმა მასპინძლებმა დაუვიწყარი სამი დღე აჩუქეს, იმდენად ფეერიული და თავგადასავლებით სავსე, რომ იტალიური კინოს ლეგენდას უთქვამს: ეშმაკსაც წაუღია ყველა „ოსკარი“. პოლიტიკურ თავშესაფარს ვითხოვ, საცხოვრებლად თბილისში ვრჩებიო.

მარჩელო მასტროიანი: „პირველად რომ ვნახე ქართული ფილმი, იტალიური მეგონა. მივხვდი, რომ სახით, ხასიათით ჩვენ, ქართველები და იტალიელები, ერთმანეთს ძალიან ვგავართ. თქვენ ემოციებს ისეთი ტემპერამენტით გამოხატავთ, როგორსაც მხოლოდ იტალიელებში თუ ნახავთ. აღფრთოვანებული ვარ ქართული კინემატოგრაფით, ისტორიული წარსულით, ძეგლებით, თქვენი ხალხით. საოცარია თქვენი კერძები, იმდენად კარგი და გემრიელი, იმდენად ვარ მოხიბლული, რომ თქვენს ქვეყანაში თავი უცხოელად არც მიგრძნია“.

მარჩელო ვინჩენცო დომენიკო მასტროიანი | იტალ. Marcello Vincenzo Domenico Mastrolanni (1924-1996)

– იტალიელი მსახიობი, იტალიური, ევროპული და მსოფლიო კინემატოგრაფის ყველაზე მნიშვნელოვანი პრემიებისა თუ ჯილდოების ლაურეატი. გადაღებულია XX საუკუნის მეორე ნახევრის სახელგანთქმულ რეჟისორთა ფილმებში. მსახიობის ფოკუსირებულმა, თავშეკავებულმა და გარკვეულწილად ექსცენტრიკულმა სამსახიობო მანერამ იდეალური ფონი შეუქმნა იტალიური კინოს ბევრი კლასიკოსის მხატვრულ ძიებებს.



სვ/227



მოძა ვაღ
შეს ვედრამდე!



თბილისის მერია
TBILISI CITY HALL

პროექტის მხარდამჭერია
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია



ტურიზმის განვითარების
ასოციაცია

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი	ფატი დავითულიანი
რედაქტორი	ელზა ნაბახტეველი
საარქივო მასალების მოძიება და დამუშავება	რევაზ გვიმრაძე
დიზაინერ-დამკაბადონებელი	სოფო ტარყაშვილი
ილუსტრატორი	ია მახათაძე
მთარგმნელი	ზაზა სიამაშვილი
ფოტოები:	ბადრი ვადაჭკორია, მაკა თედორაძე
	ელდარ შენგელაიას პირადი არქივი
	საქართველოს ეროვნული არქივი
	საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ფოტომატრიანე „ივერიელი“

გამოყენებულია საბიბლიოთეკო და ინტერნეტრესურსები

© ტურიზმის განვითარების ასოციაცია
tdage7@gmail.com

ISBN 978-9941-8-3934-4

K 14.527
1

საქართველო
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 14.527/1



917899411839344